

**შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონდე საზოგადოება
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “Piazza Capital”**

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	I
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	II-VI
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5-33
დანართი	34-42

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ათწილადის სიმბოლოა წერტილი („.“),რიცხვის თანრიგების გაყოფის სიმბოლოა მძიმე („.“)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონდე საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „Piazza Capital“-ს (შემდგომში - „მისო“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან, წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში მისოს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- მისოში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს მისოს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისოს ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მისოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 6 ივნისს.

სულხან ჯორთმენაძე
დირექტორი



თამარ წილოსანი
ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „Piazza Capital“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „Piazza Capital“-ის („მისო“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მისომ მფლობელებზე გაანაწილა დივიდენდი 323,597 ლარის ოდენობით რომელიც 230,160 ლარით აღემატება მისოს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კომპანიას დივიდენდის განაწილება შეუძლია, მხოლოდ დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან. დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე გადაჭარბებული თანხის მფლობელებზე გადანაწილება მიიჩნევა, როგორც გაცემული სესხი დამფუძნებელზე ან მფლობელების კაპიტალის შემცირება. მფლობელებზე გაცემული ფულადი სახსრების დივიდენდად არასწორი კლასიფიკაციის გამო, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება და ასახული აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემცირებულია 230,160 ლარით. ვინაიდან აღნიშნულ კლასიფიკაციას მატერიალური ზეგავლენა აქვს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტებზე, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირებულია აღნიშნული საკითხის გამო.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც წარმოდგენილია აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ:

- გავცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- წარმოდგენილია თუ არა მმართველობით ანგარიშში ყველა ის ინფორმაცია რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სხვა გარემოებათა აზიზი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „Piazza Capital“-მა მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მმართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აზიზის შესაბამისად.

მისოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდირებულია „არესემ საქართველო“-ს მიერ, რომელზეც ჩვენი გამოთქმული მოსაზრება 2018 წლის 13 ივნისით დათარიღებული აუდიტის დაკსენის მიხედვით მოდიფიცირებულია.

2018 წლის 13 ივნისს აუდირებული დაკსენის მოდიფიცირების საფუძველს წარმოადგენდა:

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ მისოს აუდიტორებად 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ჩვენ ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის ბოლოს ჩატარებულ ფულადი სახსრების გადათვლას სალაროში, რომელმაც შეადგინა 106,313 ლარი, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2017 წლის ბოლოს სალაროში არსებული ფულადი სახსრების ნაშთის სისწორეში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო მისოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებულ ფულადი სახსრების 2017 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ დავინიშნეთ მისოს აუდიტორებად ასევე 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, თუმცა 2017 წლისგან განსხვავებით ალტერნატიული პროცედურების ჩატარების შემდგომ შევძელით საკმარისი და შესაფერისი რწმუნების მოპოვება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფული სალაროში“ ნაშთის არსებობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე წინა წლის პირობითი მოსაზრების საფუძველი მიმდინარე წლისთვის არ წარმოადგენს მოსაზრების მოდიფიცირების საფუძველს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მისოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან მისოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი,

ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მისოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მისო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ ორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

6 ივნისი 2019

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

Rsm Georgia



შპს მისო „Piazza Capital“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	4	1,058,578	1,134,140
საპროცენტო ხარჯი	4	(259,253)	(251,012)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	799,325	883,128
სესხების გაუფასურების ანარიცხი		(604,716)	(35,160)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		194,609	847,968
სხვა საოპერაციო ხარჯები	5	(207,098)	(213,071)
წმინდა მოგება/(ბარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	6	41,125	(9,650)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3,747	9,900
მოგება დაბეგვრამდე		32,383	635,147
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(89,931)	(102,956)
წლის ბარალი		(57,548)	532,191
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(57,548)	532,191

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 6 ივნისს

სულხან ჯორთმენაძე
 დირექტორი



თამარ წილოსანი
 ბუღალტერი

შპს მისო „Piazza Capital“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	593,397	115,406
გაცემული სესხები	9	4,366,213	4,154,308
ძირითადი საშუალებები	10	3,003	7,403
არამატერიალური აქტივები	11	17,838	18,553
მოგების გადასახადის აქტივი	12	8,889	7,356
სხვა აქტივები		34,883	15,854
სულ აქტივები		5,024,223	4,318,880
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,013,370	261,820
გაუნაწილებელი მოგება		(287,707)	37,519
სულ კაპიტალი		725,663	299,339
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	4,282,560	4,007,541
სხვა ვალდებულებები		16,000	12,000
სულ ვალდებულებები		4,298,560	4,019,541
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,024,223	4,318,880

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 6 ივნისს

სულხან ჯორთმენაძე
 დირექტორი



თამარ წილოსანი
 მუდალტერი

შპს მისო „Piazza Capital“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრისთვის	261,820	53,699	315,519
წლის მოგება	-	532,191	532,191
გადახდილი დივიდენდები	-	(548,371)	(548,371)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	261,820	37,519	299,339
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილება (გადასახადის გამოკლებით)	-	55,918	55,918
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის კორექტირების შემდეგ	261,820	93,437	355,257
ინვესტიცია	751,550	-	751,550
წლის მოგება	-	(57,548)	(57,548)
გადახდილი დივიდენდები	-	(323,597)	(323,597)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,013,370	(287,708)	725,662

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 6 ივნისს

სულხან ჯორთმენაძე
 დირექტორი



თამარ წილოსანი
 ბუღალტერი

შპს მისო „Piazza Capital“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგვრამდე:	32,383	635,147
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი (ფასს 9)	55,918	-
კორექტირებები:		
გაუფასურების ანარიცხი	604,716	35,160
ცვეთა და ამორტიზაცია	11,857	12,529
საპროცენტო ხარჯი	259,253	251,012
საპროცენტო შემოსავალი	(1,058,578)	(1,134,140)
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების (ზრდა)/კლება:		
მიღებული სესხები	(861,107)	77,985
მიღებული სესხები	(6,253)	(10,865)
სხვა ვალდებულებები	4,000	1,855
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	(957,811)	(131,317)
გადახდილი პროცენტი	(259,252)	(253,640)
გადახდილი მოგების გადასახადი	(104,239)	(103,410)
მიღებული პროცენტი	1,103,064	1,156,227
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(218,238)	667,860
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(170)	(293)
არამატერიალურ აქტივების შეძენა	(6,572)	-
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(6,742)	(293)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	275,019	(42,063)
კაპიტალში შენატანი	751,550	-
გადახდილი დივიდენდი	(323,597)	(548,371)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	702,972	(590,434)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმ. ზრდა/(კლება)	477,992	77,133
1 იანვრის მდგომარეობით	115,406	38,273
31 დეკემბრის მდგომარეობით	593,397	115,406

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 6 ივნისს

სულხან ჯორთმენაძე
 დირექტორი



თამარ წილოსანი
 ბუღალტერი

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „Piazza Capital“ („მისო“) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაფუძნდა 2013 წლის 16 მაისს, დამფუძნებელი პარტნიორი 100% - გიორგი გოჩა ჭილაძე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2013 წლის 15 აგვისტოს. 2014 წლის 17 დეკემბერიდან მისოს 100% წილის მმართველი გახდა შპს „მინარ სა“ (CHE-400.526.675

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სს „ჰევან სა“ (CHE-400.526.675)	60 %	60 %
სულხარ ჭორთმენაძე (61001014228)	20 %	20 %
ვაჟა ბოლქვაძე (61006015518)	20 %	20 %
	100 %	100 %

2017 წლის 30 ნოემბერს მისოს 60% იან წილის მფლობელმა შპს „მინარ სამ“ შეიცვალა სახელწოდება და გახდა შპს „ჰევან სა“.

ძირითადი საქმიანობა: მისოს ძირითადი საქმიანობა არის უძრავი ქონებით, ძვირფასი ლითონებით, ავტომობილებით და სხვა ქონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: მისოს სარეგისტრაციო მისამართი არის: საქართველო, ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 25ა.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა: ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში („ლარი“).

მისოში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 6 თანამშრომელი (2017: 6)

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

მისო მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო კვლავ აჩვენებს კონკრეტულ დამოკიდებულებას განვითარებად, ზრდად ბაზარზე. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა განიცდის სხვადასხვა სახის განმარტებების ზეგავლენას და ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშე მდგომი გამოწვევების წარმოქმნას.

საქართველოს შემდგომი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს მისოს საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. მისოს მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მისო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. მისო მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, მისო იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, მისო ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

3.2 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დანერგილ იქნა ფასს 9 რომელიც გამოიყენა 2014 წლის ივლისში IASB-ის მიერ. სტანდარტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, რომელმაც გამოიწვია მისოს პოლიტიკის ცვლილება და გააჩინა წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების კორექტირების საჭროება. მისოს მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში.

ფასს 9-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მიდგომა არ მომხდარიყო მისოს შესადრისი მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგებების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება რომელიც გამოწვეული სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა მისოს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ფასს 7 ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადრისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას.

ფასს 9-ის დანერგვას გავლენა აქვს მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე კლასიფიცირებასა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების განსაზღვრაზე ისევე როგორც ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხებზე. ფასს 9 ასევე მნიშვნელოვნად ცვლის სხვა სტანდარტებს როგორცაა ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს

მენეჯმენტმა წარმოადგინა განმარტებითი შენიშვნები რომლებიც უკავშირდება მისოს მიერ ფასს 9-ის დანერგვას. დეტალური ინფორმაცია ფასს 9-ის გავლენის შესახებ (ისევე როგორც ბასს 39 ის მოთხოვნების შესაბამისი პოლიტიკა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკაზე წარმოდგენილია ქვემოთ

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიისა და საბალანსო მაჩვენებლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

საბალანსო მუხლი	საზომი კატ. ბასს 39-ის მიხ.	საზომი კატ. ფასს 9-ის მიხედვით	საბ. ღირ. ბასს 39-ის მიხ. 1.1.2018	საბ. ღირ. ფასს 9-ის მიხ. 1.1.2018
გაცემული სესხები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	4,154,308	4,210,226
ფული და ფულის ექვივალენტები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	115,406	115,406
მიღებული სესხები	ამორტ. ღირ.	ამორტ. ღირ.	4,007,541	4,007,541

შპს მისო „Piazza Capital”**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****ქართულ ლარში**

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ") მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და მისო გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება.

ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ჩაატარა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და ფულადი სახსრების მახასიათებლების დეტალური ანალიზი იხილეთ ქვემოთ 3.2 მუხლში.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ ბასს 39 ისა და ფასს 9-ის კატეგორიების მიხედვით რომელიც დაინერგა 2018 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ რომელიც გამოწვეულია ფასს 9 ის დანერგვითა და ბასს 39-ის შეცვლით 2018 წლის 1 იანვრისთვის:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასიფ.	კორექტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	115,406	-	-	115,406
გაცემული სესხები	4,154,308	-	55,918	4,210,226
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,007,541	-	-	4,007,541

გ) ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია ფასს 9 -ის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შესახებ სესხის გაუფასურების ანარიცხებში:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით	რეკლასიფ.	კორექტირება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 1.1.2018 მდგომარეობით
გაცემული სესხები				
სესხის გაუფასურების ანარიცხები	240,531	-	55,918	184,613

როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ნაჩვენები ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად განისაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბოლოო კატეგორიები და მოხდა მათი კლასიფიცირება მანამდე არსებულ კატეგორიაში, თუმცა განსხვავებულად იქნა გამოანგარიშებული გაუფასურების ანარიცხი, ანარიცხების შექმნა მოხდა ახალი სტანდარტის

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მოთხოვნების შესაბამისად და გამოყენებულ იქნა „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და დაინერგა ფასს 15 რომელიც გამოიცა 2014 წლის მაისში. სტანდარტი ითვალისწინებს შემოსავლის აღიარების ერთიან მოდელს. სტანდარტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიდგომა რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. სტანდარტი ადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით შემოსავლის აღიარების მოდელს რომელიც ითვალისწინებს შემოსავლის განსაზღვრას ტრანზაქციის ღირებულების პროპორციულად. სტანდარტის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია განცალკევებულად როგორც ხარჯი ნაცვლად იმისა რომ დაკორექტირებულიყო შემოსავალი. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებები, საკონტრაქტო აქტივები ან მოთხოვნები, კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის მხდირან საკონტრაქტო მოთხოვნების შესრულებასა და მომხმარებლის მხრიდან საზღაურის გადახდასთან. მომხმარებლის მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ისევე როგორც კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვემდებარება განცალკევებული კრიტერიუმით წარმოდგენას და კაპიტალიზირდება როგორც აქტივი რომელიც ამორტიზირდება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში.

ფასს 15-ის ამოქმედებას არ მოუხდენია არსებითი გავლენა მისოს ოპერაციებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

მისოს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები მისოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. მისომ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს მისო, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

3.2. სააღრიცხო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც მისოს მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. მისოს მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის მისო ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაციი ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას

ფინანსური აქტივები

ა) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან მისომ დანერგა ფასს 9 და შესაბამისად მოახდინა ფინანსური აქტივების კლასიფიცირება შემდგომ შეფასებით კატეგორიებში:

- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან
- შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული

სტანდარტის მოთხოვნები კლასიფიკაციისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მისო აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

გაუფასურება

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არა ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრუდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალ ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალ ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალ ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის მისოს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ მისო შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

მისოს ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია მისოს ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის.

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5095	2.8322	3.2315

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

კომპიუტერული ტექნიკა	20%
ავტო და მოწყობილობები	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%

ის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც მისო ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება უდრის ნულს იმ შემთხვევაში, თუ მისო აპირებს ობიექტის გამოყენებას მისი გამოყენების ფიზიკური ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს.

მისოს არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე განეული ხარჯების საფუძველზე. განვითარების ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდენტიფიცირებულ და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც მისო აკონტროლებს, აისახება არამატერიალურ აქტივად, თუ ითვლება, რომ მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ჯამი აღემატება ხარჯებს. კაპიტალიზირებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული განვითარების გუნდის საშტატო დანახარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდით, გამოყენებით 15%-იანი ამორტიზაციის ნორმით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მისო-ს მფლობელობაში არსებული ქონება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ზრდის მიზნით, ან ორივე ერთად, და რომელიც არ აქვს დაკავებული მისო-ს. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 20 წელს შეადგენს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ მისოს აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დამატებითი ხარჯები, რაც უშუალოდ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან, აისახება კაპიტალში უარყოფითი ნიშნით, გადასახადების გამოკლებით. დადებითი სხვაობა გამოშვებული აქციის სანაცვლოდ მიღებული თანხის სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოსხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

4. საპროცენტო შემოსავალი

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	384,072	818,225
საპროცენტო შემოსავალი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	674,506	315,914
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,058,578	1,134,139
საპროცენტო ხარჯი		
საპროცენტო ხარჯები ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(15,577)	(15,415)
საპროცენტო ხარჯები იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(243,676)	(235,597)
სულ საპროცენტო ხარჯი	(259,253)	(251,012)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	799,325	883,127

5. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი	112,200	121,275
საოფისე იჯარა	40,500	40,500
ცვეთა და ამორტიზაცია	11,857	12,530
აუდიტორული მომსახურება	16,000	12,000
პროფესიული მომსახურება	17,091	17,200
სხვა საოპერაციო ხარჯები	9,450	9,566
სულ საოპერაციო ხარჯები	207,098	213,071

თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი მოიცავს პრემიას 11,840 ლარი (2017: 19,360 ლარი)

6. წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან

	2018	2017
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	147,889	325,545
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(106,764)	(335,195)
სულ წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	41,125	(9,650)

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

7. მოგების გადასახადის ხარჯი

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(91,463)	(98,785)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი (იხ. შენიშვნა 12)	1,532	(4,171)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	(89,931)	(102,956)

	2018	2017
წლის სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე	32,383	635,147
კორპორაციის გადასახადის დანარიცხი 15% განაკვეთით	(4,857)	(95,272)
კორექტირებები:		
მუდმივი სხვაობა	(90,707)	(5,274)
სხვა	4,101	(328)
დროებით სხვაობა	1,532	(2,082)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	(89,931)	(102,956)
ეფექტური საგადასახადო განაკვეთი	278%	16%

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31/12/2018	31/12/2017
ფული სალაროში	169,679	106,313
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	423,718	9,093
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	593,397	115,406

კომპანიას აქვს მხოლოდ საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშები სხვადასხვა ვალუტაში.

9. გაცემული სესხები

	31/12/2018	31/12/2017
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფა	2,740,018	1,557,527
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასი ლითონით უზრუნველყოფა	3,336	-
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები - ავტომანქანებით უზრუნველყოფა	70,253	50,821
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები - უზრუნველყოფის გარეშე	685,809	230,566
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფა	954,778	2,194,348
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფა	18,625	12,062
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ავტომანქანებით უზრუნველყოფა	20,674	15,672
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უზრუნველყოფის გარეშე	250,603	333,844
სესხების გაუფასურების ანარიცხი	(377,883)	(240,531)
სულ გაცემული სესხები	4,366,213	4,154,308

	31/12/2018		31/12/2017	
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	თანხა	%	თანხა	%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფა	2,740,018	58%	1,557,527	35%
ძვირფასი ლითონით უზრუნველყოფა	3,336	0%	-	-
ავტომანქანებით უზრუნველყოფა	70,253	1%	50,821	1%
უზრუნველყოფის გარეშე	685,809	14%	230,566	5%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფა	954,778	20%	2,194,348	50%
ძვირფასი ლითონით უზრუნველყოფა	18,625	0%	12,062	0%
ავტომანქანებით უზრუნველყოფა	20,674	0%	15,672	0%
უზრუნველყოფის გარეშე	250,603	5%	333,844	8%
სულ	4,744,096	100%	4,394,840	100%

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ქვემოთ ცხრილში მოცემულია გაცემული სესხების ძირის მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული

ეტაპი 3 - სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ 2018	სულ 2017
ნაშთი წლის დასაწყისში	3,427,352	361,707	605,781	4,394,840	4,495,736
გატადანა I ეტაპში	136,145	(55,439)	(80,706)	-	-
გატადანა II ეტაპში	(194,136)	194,136	-	-	-
ეტაპი III ეტაპში	(68,205)	(97,276)	165,481	-	-
დაფარული სესხები	(1,628,313)	(124,453)	(220,466)	(1,973,232)	(100,896)
ჩამოწერილი სესხები	(26,641)	(97,276)	(380,206)	(504,123)	-
უკან დაბრუნებული	49,677	5,243	8,781	63,701	-
გაცემული სესხები	2,532,274	162,335	68,301	2,762,910	-
ნაშთი წლის ბოლოს	4,228,153	348,977	166,966	4,744,096	4,394,840

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სესხების რეზერვის გაუფასურების მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ 2018	სულ 2017
ნაშთი წლის დასაწყისში ბასს 39-ის შესაბამისად				240,531	206,196
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილება				(55,918)	-
ნაშთი წლის დასაწყისში	67,412	26,647	90,554	184,613	-
გატადანა I ეტაპში	95,766	(15,060)	(80,706)	-	-
გატადანა II ეტაპში	(7,276)	7,276	-	-	-
ეტაპი III ეტაპში	(416)	-	416	-	-
წლის განმავლობაში სესხების ანარიცხის ცვლილება	12,279	129,080	463,358	604,717	34,335
ჩამოწერილი სესხები	1,946	-	(413,393)	(411,447)	-
ნაშთი წლის ბოლოს	169,711	147,943	60,229	377,883	240,531

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

10. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	კომპიუტერული მოწყობილობები	ავეჯი და ოფისის ინვენტარი	სხვა მოწყობილობები	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,789	8,948	4,293	30,030
შეძენა	293	-	-	293
შიდა მოძრაობა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,082	8,948	4,293	30,323
შეძენა	170	-	-	170
გაყიდვა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,252	8,948	4,293	30,493
ცვეთა და გაუფასურება				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(9,251)	(5,243)	(2,444)	(16,938)
ცვეთა წლის მანძილზე	(3,363)	(1,760)	(859)	(5,982)
გაყიდვა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(12,614)	(7,003)	(3,303)	(22,920)
ცვეთა წლის მანძილზე	(2,398)	(1,574)	(598)	(4,569)
გაყიდვა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(15,012)	(8,577)	(3,901)	(27,490)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,538	3,704	1,849	13,090
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,468	1,944	990	7,403
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,240	371	392	3,003

კომპანიას ექსპლუატაციაში აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები, რომელთა ჯამური ისტორიული ღირებულება შეადგენს 23,560 ლარს.

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

11. არამატერიალური აქტივები

ღირებულება	არამატერიალური აქტივები	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	43,655	43,655
შეძენა	-	-
შიდა მოძრაობა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43,655	43,655
შეძენა	6,572	6,572
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,227	50,227
ცვეთა და გაუფასურება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(18,553)	(18,553)
ცვეთა წლის მანძილზე	(6,548)	(6,548)
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(25,102)	(25,102)
ცვეთა წლის მანძილზე	(7,288)	(7,288)
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(32,389)	(32,389)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,102	25,102
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,553	18,553
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,838	17,838

12. გადავადებული მოგების გადასახადი

	31/12/2018	31/12/2017
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8,889	7,356
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	-
წმინდა ბალანსი	8,889	7,356

გადავადებული მოგების გადასახადი აქტივი	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	12,353	12,353
არამატერიალური აქტივები	-	635	635
ძირითადი საშუალებები	-	575	575
სხვა ვალდებულებები	-	300	300
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	13,863	13,863
ძირითადი საშუალებები	-	1,092	1,092
გაცემული სესხები	-	1,350	1,350
სხვა ვალდებულებები	-	600	600
2018 წლის 31 დეკემბრის	-	16,905	16,905

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

გადავადებული მოგების გადასახადი ვალდებულება	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	სულ
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	(826)	(826)
გაცემული სესხები	-	(5,680)	(5,680)
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	(6,506)	(6,506)
არამატერიალური აქტივები	-	(1,510)	(1,510)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(8,016)	(8,016)

პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

კომპანიამ 2016 წლის სექტემბერში გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების მიხედვით ხელშეკრულების ვადა ყოველწლიურად განგრძობითია.

მისო მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31/12/2018	31/12/2017
1 წლის განმავლობაში	40,500	36,000
1 წლიდან 5 წლამდე პერიოდში	202,500	24,000
სულ	243,000	60,000

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია მისოს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

გემოთ ხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მისოსგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

13. მფლობელთა კაპიტალი

მისოს დამფუძნებლის გოჩა ჭილაძის 2013 წლის 13 მაისის პარტნიორის გადანაცვეტილება #1-ის შესაბამისად, მისოს მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრა ფულადი სახით შესავსები 250,000 ლარით. ხოლო 2013 წლის 1 ოქტომბრის პარტნიორის გადანაცვეტილება #2-ის მიხედვით, მისოს მფლობელთა კაპიტალი გაიზარდა 261,820 ლარამდე.

2018 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 323,597 ლარი (2017: 548,371 ლარი), რომელიც განაწილდა პარტნიორებს შორის წილების პროპორციულად.

14. მიღებული სესხები

	31/12/2018	31/12/2017
მოკლევადიანი მიღებული სესხები	2,007,450	-
გრძელვადიანი მიღებული სესხები	2,275,110	4,007,541
სულ მიღებული სესხები	4,282,560	4,007,541

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული სესხები შედგება მფლობელისგან (HEGAN SA) მიღებული 5 სესხისგან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებული სესხი	მიღების თარიღი	გადახდის თარიღი	პროცენტი	ვალუტა	თანხა ვალუტაში	თანხა ლარში
(HEGAN SA)	7/16/2014	7/16/2020	7%	USD	250,000	669,150
(HEGAN SA)	2/10/2015	2/6/2019	6%	USD	200,000	535,320
(HEGAN SA)	7/9/2015	7/7/2019	6%	USD	200,000	535,320
(HEGAN SA)	3/10/2017	3/7/2019	6%	USD	350,000	936,810
(HEGAN SA)	10/25/2018	10/23/2024	6%	USD	600,000	1,605,960
სულ მიღებული სესხები					1,600,000	4,282,560
სესხის ძირი					1,600,000	4,282,560
გადასახდელი პროცენტი					-	-
სულ მიღებული სესხები					1,600,000	4,282,560

2018 წლის განმავლობაში ფიზიკური პირებისგან მიღებული ყველა სესხის ძირი (ღირებულებით :591,230 ლარი) და პროცენტი (ღირებულებით: 15,256) ამავე წლის პერიოდში იქნა სრულად გადახდილი. მისოს მიერ მიღებული სესხები არ არის რაიმე სახით უზრუნველყოფილი, ასევე არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა წინასწარ გადახდებზე. ხელშეკრულების პირობების მიხედვით მისო ვალდებულია მიღებულ სესხზე ყოველთვიურად გადაიხადოს პროცენტი, ხოლო სესხის ვადის ბოლოს დაფაროს სესხის ძირი თანხა.

მფლობელისგან (HEGAN SA) მიღებულ სესხებზე დარიცხულმა პროცენტმა 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 243,676 ლარი რომელიც მისომ სრულად გადაიხადა საანგარიშგებო პერიოდში.

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მიღებული სესხი	მიღების თარიღი	გადახდის თარიღი	პროცენტი	ვალუტა	თანხა ვალუტაში	თანხა ლარში
(HEGAN SA)	7/18/2014	7/16/2018	7%	USD	250,000	648,050
(HEGAN SA)	2/10/2015	2/6/2019	6%	USD	200,000	518,440
(HEGAN SA)	5/27/2015	5/21/2019	6%	USD	100,000	259,220
(HEGAN SA)	6/25/2015	12/31/2018	6%	USD	74,000	191,823
(HEGAN SA)	7/9/2015	7/7/2017	6%	USD	200,000	518,440
(RAMSI SA)	1/20/2016	7/20/2017	6%	USD	100,000	259,220
(HEGAN SA)	5/4/2016	5/3/2018	6%	USD	172,000	445,858
(HEGAN SA)	1/4/2017	3/19/2019	6%	USD	100,000	259,220
(HEGAN SA)	3/10/2017	5/3/2019	6%	USD	350,000	907,270
სულ მიღებული სესხები					1,546,000	4,007,541
სესხის ძირი					1,546,000	4,007,541
გადასახდელი პროცენტი					-	-
სულ მიღებული სესხები					1,546,000	4,007,541

15. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, მისო ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს მისოსთვის.
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ მისოს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, მისო ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - ფასიანი ქაღალდების რისკი

მისოს ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს მისოს საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	593,397	115,406
გაცემული სესხები	4,366,213	4,154,508
სულ ფინანსური აქტივები	4,959,610	4,269,914
ფინანსური ვალდებულება		
მიღებული სესხები	4,282,560	4,007,541
სხვა ვალდებულებები	16,000	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,298,560	4,019,541

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

საკრედიტო რისკი

მისო ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობებიდან გამომდინარე. ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებელზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

გასაცემი სესხის კატეგორიები განისაზღვრება სესხის დანიშნულების მიხედვით

გასაცემი სესხის კატეგორიები:

კატეგორია 1 - იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები

კატეგორია 2 - ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

C1 - 0 დღიანი ვადაგადაცილება

C2 - 1-30 დღიანი ვადაგადაცილება

C3 - 31-60 დღიანი ვადაგადაცილება

C4 - 61-90 დღიანი ვადაგადაცილება

D1 - 91-180 დღიანი ვადაგადაცილება

D2 > 180

მისო ახდენს პროგნოზთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებას, როგორც იმის შეფასებისას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ისე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას.

მისო ახდენს საკრედიტო რისკების და საკრედიტო დანაკარგების მთავარი მაჩვენებლების იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, აფასებს მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას დეფოლტის დადგომის შემთხვევაში და მისი აღდგენის მაჩვენებელს, ასევე, ქვემოთ მოყვანილი მაკრო-ეკონომიკური ცვლილებების ანალიზს.

- სფი ინფლაცია
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
- რეალური მშპ

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც იქნა გამოყენებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 და 2021 წლებისთვის საქართველოში:

სფი ინფლაცია	2019	2020	2021
საბაზისო	2.9	3.0	3.0
ოპტიმისტური	3.4	3.2	3.0
პესიმისტური	4.5	4.0	3.0
მონეტარული			
საბაზისო	6.5	6.0	5.8
ოპტიმისტური	6.75	6.5	6.5
პესიმისტური	7.5	7.5	6.75
რეალური მშპ			
საბაზისო	5.0	5.0	5.0
ოპტიმისტური	6.0	5.5	5.0
პესიმისტური	2.0	2.5	3.5

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მომხმარებელზე გაცემული სესხების გადანაწილება ეკონომიკურ სექტორის მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2018		31.12.2017	
	ნაშთი	%	ნაშთი	%
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	3,499,416	74%	1,838,914	42%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	1,244,680	26%	2,555,926	58%
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	4,744,096	100%	3,901,510	100%
გაუფასურების ანარიცხი	(377,883)		(240,531)	
სულ გაცემული სესხები (გაუფასურების შემდეგ)	4,366,213		4,154,308	

ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ეტაპი 2 - სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით არა-გაუფასურებული

ეტაპი 3 - სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული

კატეგორია 1 - იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხების %
C1	2,947,068	(106,484)	-	-	(106,484)	2,840,584	3%
C2	213,107	(12,935)	-	-	(12,935)	200,172	6%
C3	117,564	-	(26,310)	-	(26,310)	91,254	22%
C4	123,969	-	(36,928)	-	(36,928)	87,041	28%
D1	52,701	-	(36,857)	-	(36,857)	15,844	63%
D2	45,800	-	-	(54,007)	(54,007)	(8,207)	100%
სულ	3,500,209	(119,419)	(100,095)	(54,007)	(273,522)	3,226,688	

კატეგორია 2 - ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

ანალიზი კატეგორიების მიხედვით	სულ სესხები	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	სულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანი სესხების %
C1	977,622	(47,565)	-	-	(47,565)	930,057	1%
C2	135,990	(2,728)	-	-	(2,728)	133,262	2%
C3	73,177	-	(20,735)	-	(20,735)	52,443	27%
C4	51,821	-	(27,111)	-	(27,111)	24,710	48%
D1	-	-	-	-	-	-	100%
D2	5,276	-	-	(6,222)	(6,222)	(946)	100%
სულ	1,243,886	(50,293)	(47,846)	(6,222)	(104,361)	1,139,525	

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31/12/2018	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	593,397	-	-	-	593,397
გაცემული სესხები	796,995	2,687,743	881,475	-	4,366,213
სულ ფინანსური აქტივები	1,390,392	2,687,743	881,475	-	4,959,610
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	2,007,450	669,150	-	1,605,960	4,282,560
სხვა ვალდებულებები	16,000	-	-	-	16,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,023,450	669,150	-	1,605,960	4,298,560
ლიკვიდურობის პოზიცია	(633,058)	2,018,593	881,475	(1,605,960)	661,050

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31/12/2017	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	115,406	-	-	-	115,406
გაცემული სესხები	1,717,487	2,160,762	276,059	-	4,154,308
სულ ფინანსური აქტივები	1,832,893	2,160,762	276,059	-	4,269,714
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	2,063,391	1,944,150	-	-	4,007,541
სხვა ვალდებულებები	12,000	-	-	-	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,075,391	1,944,150	-	-	4,019,541
ლიკვიდურობის პოზიცია	(242,498)	216,612	276,059	-	250,173

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის პოზიცია 1 წლამდე პერიოდისთვის იყო - 633,058 ლარი (2017: - 242,498 ლარი). აღნიშნული, მისოს მფლობელებისგან (HEGAN SA) მიღებული სესხებით არის გამოწვეული, რომელიც 2019 წელს იყო გადასახდელი. მენეჯმენტის შეფასებით, თუ მისო ვადის ბოლოს ვერ დაფარავს სესხის სრულ თანხას, დამფუძნებელი სესხის ვადას გაახანგრძლივებს, შესაბამისად ეს ლიკვიდურობის პოზიცია არ ქმნის ფუნქციონირებადი საწარმოს რისკს. სხვა დეტალები სესხის დაფარვის ვადებთან დაკავშირებით იხილეთ მე-19 განმარტებითი შენიშვნაში.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, და გაცემული სესხები) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. მისოს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

31/12/2018	USD	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	533,605	44,400	578,005
გაცემული სესხები	4,237,972	-	4,237,972
სულ ფინანსური აქტივები	4,771,577	44,400	4,815,977
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	4,282,560	-	4,282,560
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,282,560	-	4,282,560

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

31/12/2017	USD	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	67,871	24,314	92,185
გაცემული სესხები	4,331,134	-	4,331,134
სულ ფინანსური აქტივები	4,399,005	24,314	4,423,319
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	4,007,541	-	4,007,541
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,007,541	-	4,007,541

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მისოს მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების გამოვლენას და ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კვოტირება შეიძლება იყოს მოძველებული და ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს დაბალ ფასში და არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა სახის ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია.

მისო იყენებს შეფასების მეთოდების შემდეგ იერარქიულ სტრუქტურას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა და განსაზღვრისთვის:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჭარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. ამ ინსტრუმენტებს მოიცავს დონე 1.

შპს მისო „Piazza Capital”**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****ქართულ ლარში**

დონე 2: იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს.

დონე 3: იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

	31 დეკემბერი 2018			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	593,397	-	-	593,397
გაცემული სესხები	-	-	4,366,213	4,366,213
სულ ფინანსური აქტივები	593,397	-	4,366,213	4,959,610
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	4,007,541	4,007,541
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	16,000	16,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	4,019,541	4,031,541

	31 დეკემბერი 2017			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	115,406	-	-	115,406
გაცემული სესხები	-	-	4,154,308	4,154,308
სულ ფინანსური აქტივები	115,406	-	4,154,308	4,269,714
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	4,007,541	4,007,541
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	12,000	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,000	-	4,019,541	4,019,541

შპს მისო „Piazza Capital”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	593,397	593,397	115,406	115,406
გაცემული სესხები	4,366,213	4,366,213	4,154,308	4,154,308
სულ ფინანსური აქტივები				
აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	4,959,610	4,959,610	4,269,714	4,269,714

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,282,560	4,282,560	4,007,541	4,007,541
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16,000	16,000	12,000	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები				
აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	4,298,560	4,298,560	4,019,541	4,019,541

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამჟამად ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

შპს მისო „Piazza Capital”**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****ქართულ ლარში**

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავე ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავე ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

მისოს აქციონერები წარმოდგენილია 1-ელ შენიშვნაში. მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა პერიოდის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან		
შემოსავალი:		
ძირითადი აქციონერები	3,600	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	8,892	4,598
ხარჯი:		
ძირითადი აქციონერები	(243,676)	(235,597)
სხვა დაკავშირებული მხარეები	(15,577)	(15,415)
გაცემული სესხები:		
სხვა დაკავშირებული მხარეები	166,745	22,491
მიღებული სესხები:		
ძირითადი აქციონერები	4,282,560	4,007,541

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2018	2017
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	ლარი	ლარი
ხელფასები და პრემიები	46,880	31,540

შპს მისო „Piazza Capital“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

18. კაპიტალის მართვა

მისოს მიზანს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს უზრუნველყოს აქციონერები ადექვატური ფინანსური სახსრების მიღებით და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მისო შეესაბამება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 სექტემბერს და რომლის მიხედვითაც მისოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა 500,000 ლარით, ხოლო 2019 წლის 1 ივლისამდე 1,000,000 ლარით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები კოეფიციენტებთან დაკავშირებით შემდეგია:

- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინვესტიციების კოეფიციენტი
- ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი
- დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი

საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ ასევე განსაზღვრულია ერთ მსესხებელზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობაც.

31/12/2018		
კოეფიციენტი	დაწესებული ზღვარი	წარდგენილი კოეფიციენტი
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	მინიმუმ 16%	37,68%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მინიმუმ 16%	13,96%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი	მინიმუმ 40%	0,30%
ინვესტიციების კოეფიციენტი	მინიმუმ 15%	0,00%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	მინიმუმ 15%	0,00%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	მინიმუმ 90%	0,00%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისო აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ყველა მოთხოვნას გარდა ლიკვიდურობის კოეფიციენტისა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მისოს მენეჯმენტის მიერ მოხდა კომუნიკაცია საქართველოს ეროვნულ ბანკთან და მათი თანხმობით 2019 წლის დასაწყისში მისოს მფლობელებისგან მიღებული სესხები დაკლასიფიცირდა, როგორც სუბორდინირებული სესხები, რომელიც მონაწილეობს ლიკვიდურობის კოეფიციენტის კალკულაციაში.

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის დასაწყისში მისოს მფლობელებისგან მიღებული სესხების სუბორდინირებულ სესხებად რეკლასიფიკაციის მიზნით სესხების ვადა გაიზარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად (დაფარვის ვადად განისაზღვრა 2024 წელი). 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, დამტკიცების პერიოდისთვის, ლიკვიდურობის კოეფიციენტი აკმაყოფილებს დაწესებულ მინიმალურ ზღვარს.

**შპს მისო პიაჯა კაპიტალის მმართველობის
ანგარიშგება
(საქმიანობის მიმოხილვა)**

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	36
მისო „პიაცა კაპიტალი“ მიმოხილვა	37
საქმიანობა	38
საკრედიტო რისკი	39
საბაზრო, საოპერაციო რისკი	40
ლიკვიდურობის რისკი	40
ფინანსური რისკების მართვა	40-41
მისო „პიაცა კაპიტალი“ განვითარების გეგმები	41-42
კომპანიის ფილიალების შესახებ ინფორმაცია	42
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	42
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	42
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებები	42

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „პიაჯა კაპიტალის“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანია ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 6 ივნისის მდგომარეობით.

დირექტორი

ბუღალტერი



სულხან ჯორთენაძე

თამარ წილოსანი

მისო „პიაჯა კაპიტალი“ მიმოხილვა

შპს „პიაჯა კაპიტალი“ დაარსდა 2013 წლის 16 მაისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 445425763, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო 2013 წლის 15 აგვისტოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მისო „პიაჯა კაპიტალი“ ამ ეტაპზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სათაო ოფისით ქ. ბათუმში, თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 6 პროფესიონალ კადრს. კომპანიას ფილიალები ამ ეტაპზე არ აქვს.

ქვეყანაში სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდიდან და საკანონმდებლო ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებიდან გამომდინარე კომპანიის სტრატეგიული მიმართულება მისი გაფართოებაა.

საქმიანობა

მისო პიაცა კაპიტალის საქმიანობას წარმოადგენს, როგორც ფიზიკური პირების დაკრედიტებას, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას. მათ შორის: მიკრო, საშუალო სესხებს დამწყები და მოქმედი ბიზნესისათვის, სარემონტო, სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებს, უცხოური ვალუტის გადაცვლის ოპერაციებს და სხვა საფინანსო მომსახურებას.

ეროვნული ბანკი აწარმოებს მისოს რეგისტრაციას, რა დროსაც გარკვეულ სტანდარტებს უწესებს კომპანიებს, მათ დამფუძნებლებსა და დირექტორებს.

მისო „პიაცა კაპიტალი“ საქართველოს ეროვნულ ბანკს რეგულარულად აბარებენ ანგარიშის, ხოლო ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისკენ.

მისოს ეკრძალება მოსახლეობისაგან დეპოზიტების მოზიდვა, ასევე მოკლებული ვართ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ ეროვნული ბანკის რეფინანსირების აუქციონში, ამიტომ დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს უცხოური სპეციალიზებული ფონდებიდან მიღებული სასესხო კაპიტალი და საბანკო კრედიტი.

მისოს „პიაცა კაპიტალის“ დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი მიზანია საკრედიტო პორტფელის სტაბილური ფუნქციონირება, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კრედიტორთა ინტერესების დაცვა, ასევე ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკაში საფინანსო სექტორის როლის ამაღლება, უცხოეთიდან ფინანსური რესურსების მობილიზება და მათი საინვესტიციო რესურსად გარდაქმნა.

პიაცა კაპიტალის მიზანია გრძელვადიანი, პარტნიორული ურთიერთობის დამყარება მომხმარებელთან, მათთვის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული გამჭვირვალე და სწრაფი ფინანსური გადაწყვეტილებების შეთავაზება, მომხმარებლის პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, რაც მიზნად ისახავს ჭარბვალიანობის თავიდან აცილებას. მომხმარებელს საშუალება აქვთ შეადარონ ჩვენი ფასები და პირობები და გაეცნონ მოსალოდნელ საფრთხეებს.

კომპანია ითვალისწინებს ყველა დაინტერესებულ მხარის ინტერესს და შესაბამისად აქვს ჩამოყალიბებული ქცევის და ეთიკის პრინციპები, რაც არეგულირებს ასეთ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ყველა ასპექტს.

კომპანიის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიას ძირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები, ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარე ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების ნაშთთან მიმართებაში. თუ მსესხებელი 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია კლიენტს უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი მაინც ვერ დაფარავს დავალიანებას 60 დღის განმავლობაში, ან რიგ შემთხვევაში, 120 დღის განმავლობაში, მაშინ კომპანია ჩამოწმებს სესხს და რეალიზაციას უკეთებს უზრუნველყოფის საგანს.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო მენეჯერი, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად კლიენტთან და ამტკიცებს საკრედიტო კომიტეტი, რომელშიც შედის ორგანიზაციის დირექტორიც.

თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში იგზავნება ოფიციალური გაფრთხილების წერილი, შემდეგ კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან ავტომატურად პროგრამული უზრუნველყოფით კლიენტს ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება მიმდინარე დავალიანების შესახებ.

ჩვეულებრივ კომპანია არბიტრაჟს მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც სესხი 120 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით.

როგორც წესი სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნას და აქტივებს რეალიზაცია უკეთდება ღია ელექტრონული აუქციონის წესით კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარავად. სასამართლოში საქმის წარმოება შეიძლება დაახლოებით ერთ წელზე მეტი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს კიდევ ექვს თვეზე მეტი.

საბაზრო საოპერაციო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივების და ვალდებულებების გამო არსებობს არსებობს სავალუტო რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე.

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდ ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციის და შეჭერების პროცედურების ჩათვლით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით ხელმძღვანელობა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივების ლიკვიდურობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას.

აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ფინანსური რისკების მართვა

მისოს საქმიანობის ძირითადი აქცენტი გადატანილია ფინანსური რისკების შეფასებაზე და მართვაზე, რაც მოიცავს საკრედიტო რისკს, საპროცენტო რისკს, სავალუტო რისკს, გარეზალანსურ რისკს და მოზიდული კაპიტალის გამოყენების რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშობა მომავალში სავალუტო კურსების მოძრაობის გაურკვევლობით, როდესაც ეროვნული ვალუტის ღირებულების შემცირება უცხოური ვალუტების მიმართ გამოიწვევს მისოს წმინდა შემოსავლის ან წმინდა აქტივების ღირებულების შემცირებას.

კომპანიამ კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრული კოეფიციენტების გაანგარიშების სრულყოფის მიზნით შეიმუშავა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კლასიფიკაციის სისტემა, რაც არსებული საკრედიტო სავალუტო რისკების გარდა, გათვალისწინებული იქნება სხვა დამატებითი რისკებიც.

შიდა კონტროლი რისკების მართვა კომპანიის საქმიანობის არსებით ნაწილსა და მისი ოპერაციების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რაც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭიროა, რომ ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი წლიურად 7 %-ს შეადგენდეს. აღნიშნული მაჩვენებლის უზრუნველყოფად, მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად, ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად 10 ან მეტი პროცენტით უნდა გაიზარდოს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მსგავსი შედეგები აჩვენა სხვა ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) კვლევებმაც. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და შესაბამისად ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის საჭირო ტემპის მისაღწევად.

კომერციული დავის ეფექტიანად გადაწყვეტის მექანიზმების გაძლიერება ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია, სასამართლოების კომპეტენციისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება კომერციული დავის გადაწყვეტის კუთხით.

უკანასკნელ პერიოდში სასესხო საპროცენტო განაკვეთების შემცირების სტაბილური ტენდენცია შეინიშნება, რომელთა კლებამ ხელსაყრელი გარემო შექმნა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის.

მისო „პიაცა კაპიტალი“ განვითარების გეგმები

კომპანიის სტრატეგიის მთავარი მიზანია ბაზარზე სასესხო პორტფელის მოცულობის გაზრდაა, ასევე საქმიანობის სტაბილური ფუნქციონირების, საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა. შესაძლო რისკების თავიდან აცილება და ამ გზით კრედიტორთა ინტერესების დაცვა.

მისო „პიაცა კაპიტალი“ მუდმივად ცდილობს, რომ ჩვენი ბიზნეს სტრატეგია მაქსიმალურად იყოს მორგებული ბაზრის მოთხოვნებზე, მუშავდება ახალი საკრედიტო პროდუქტები ფიზიკური პირების და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისათვის, რათა დღევანდელი თვითდასაქმებული მენარმეები და მიკროფერმერები ვიხილოთ მზარდი მცირე და საშუალო ბიზნესის ლიდერებად, რომლებსაც თვისებრივად ახალი ეკონომიკური და სოციალური რეალობის შექმნა შეუძლიათ საქართველოში.

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზანია, მომხმარებელთან ფინანსური შუამავლობის დონის ამაღლება, ასევე საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარის რეგიონში, შესაბამისად კომპანიის განვითარების სტრატეგია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს ავლენენ.

სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს გვიქმნის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

კომპანიის ფილიალების შესახებ ინფორმაცია

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები, გარდა სათაო ოფისისა.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ განუხორციელებია არსებობის განმავლობაში საკუთარი აქციების შესყიდვა

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას არ განუხორციელებინა კვლევები.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებები

კომპანიის განმარტებები წლიური ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ მოცემულია აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რომლის გამოშვებაც მოხდა 2019 წლის 6 ივნისს. მენეჯმენტის შეფასებით სხვა დამატებითი განმარტებები აღარ არის საჭირო, რომ აისახოს მმართველობით ანგარიშში.